Tatbestandsausschließendes Einverständnis

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** entfaltet das Einverständnis des Betroffenen eine tatbestandsausschließende Wirkung bei solchen Delikten, die ein tatbestandliches Handeln gegen oder ohne den Willen des Rechtsgutträgers voraussetzen. Die Wirkung des Einverständnisses ist somit von den Anforderungen des jeweiligen gesetzlichen Tatbestandes abhängig. So wird beispielsweise beim Hausfriedensbruch (§ 123 dStGB, Art. 160 gStGB) durch das Einverständnis des Betroffenen das tatbestandliche Merkmal des „Eindringens" und somit der Tatbestand insgesamt ausgeschlossen. Ein weiteres Beispiel ist der Diebstahl (§ 242 dStGB, Art. 177, 178 gStGB), bei dem das Tatbestandsmerkmal der „Wegnahme" nur dann erfüllt ist, wenn der Gewahrsamswechsel gegen den Willen des bisherigen Gewahrsamsinhabers erfolgt. Grundsätzlich erforderlich ist die natürliche Willensfähigkeit Rechtsgutträgers, d.h. dieser muss in der Lage sein, den Eingriff in sein Rechtsgut zu billigen (z.B. Zustimmung zum Betreten der Wohnung). Unerheblich ist es dabei, wenn das Einverständnis auf Willensmängeln beruht (z.B. durch Täuschung erlangt wurde). Nicht erforderlich ist die ausdrückliche oder konkludente Äußerung des Einverständnisses durch den Rechtsgutträger. Das Einverständnis muss jedoch in jedem Fall zum Zeitpunkt der Tat vorliegen. Geht der Täter irrtümlich vom Vorliegen eines Einverständnisses aus, unterliegt er einem Tatbestandsirrtum. Liegt hingegen ein Einverständnis vor, welches dem Täter aber nicht bekannt ist, kommt ein untauglicher Versuch in Betracht. Begrifflich abzugrenzen ist das Einverständnis von der Einwilligung, die nur rechtfertigend wirkt. (Mpi/Gtu)

დანაშაულის შემადგენლობის გამომრიცხავი თანხმობა

როგორც **გერმანულ**, ისე **ქართულ სამართალში** შესაბამისი პირის თანხმობას გააჩნია დანაშაულის შემადგენლობის გამომრიცხავი ეფექტი ისეთი დელიქტებში, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივი სიკეთის მატარებლის ნების საწინააღმდეგოდ ან მისი არსებობის გარეშე განხორციელებას მოიაზრებენ. შესაბამისად, თახმობის მოქმედება დამოკიდებულია თითოეული დანაშაულის შემადგენლობის მოთხოვნებზე. მაგალითისათვის, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევაში (გსსკ-ის 123-ე პარაგრაფი, სსსკ-ის 160-ე მუხლი) გამორიცხავს შესაბამისი უფლებამოსილი პირის თანხმობა დანაშაულის შემადგენლობის ისეთ ნიშანს, როგორიცაა „უკანონო შესვლა" და ამით გამოირიცხება მთლიანობაში დანაშაულის შემადგენლობაც. შემდეგი მაგალითია ქურდობა (გსსკ-ის 242 პარაგრაფი, სსსკ-ის 177-ე მუხლი), რომლის დროსაც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს „დაუფლებას" ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ნივთის მფლობელობის სხვა პირზე გადასვლა ამ ნითის თავდაპირველი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ხდება. როგორც წესი, სავალდებულოა, რომ სამართლებრივი სიკეთის მატარებელს გააჩნდეს ნების გამოვლენის უნარი, ანუ მას უნდა შეეძლოს დათანხმდეს სამართლებრივი სიკეთის

ხელყოფას (მაგ. ბინაში შესვლაზე თანხმობის გაცხადება). არარელევანტურია, თუ რამდენად ნაკლოვან ნებას ეფუძნება იგი (მაგ. როდესაც ნებართვა მოტყუების გზით არის მიღებული). ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ სამართლებრივი სიკეთის მატარებელმა თანხმობა გამოხატოს აშკარად ან კონკლუდენტურად. თუმცა, თანხმობა ნებისმიერ შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს ქმედების განხორციელებისას. თუკი პირი ცდება თანხმობის არსებობაში, იგი უშვებს შეცდომას ნებადართულობაში. ამის საპირისპიროდ, თუკი არსებობს თანხმობა, რაც პირისთვის არ არის ცნობილი, ამ შემთხვევაში ადგილი ექნება უვარგის მცდელობას. ტერმინოლიგიურად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს დანაშაულის შემადგენლობის გამომრიცხავი თანხმობა დაზარალებულის თანხმობისგან, რომელიც მართლწინააღდმეგობის გამომრიცხავ გარემოებად განიხილება. (Mpi/Gtu)